# კლდე

კვირა, თებერვლის 2. (იანვრის 19). 1919 წელი. № 22.

დამოუკიდებელი ნაციონალური პოლიტიკის ორგანო.

ფასი 50 კაპ.

**პირველი ნომერი!** ნომერი მენშევიკური!

ნომერი ინტერნაციონალობისა, შენ მოჭამე შენი დრო!

**მეორე ნომერი!** ნომერი ნელ-თბილი ,,დემოკრატიისა''!

ნომერი მონოპოლისტ — სპეკულიანტებისა, შენი დრო არ დადგება!




მოვდივარ მე, **მერვე ნომერი!**

ნომერი ქართული მეურნისა — მიწის მესაკუთრისა! ნომერი ქართველი ნაციონალისტებისა!

და კარგ მაგარი ისე, როგორც ,,სალი კლდე''!

მერიდეთ!

## საქართველოს ეროვნული პარტიის.
### საარჩევნო პლატფორმა.

მამულიშვილნო!

ეროვნული პარტიის ლოზუნგია ,,საქართველო ჯერ ქართველებისათვის''!

საქართველომ უნდა მოიპოვოს თავისი ისტორიული საზღვრები.

ეროვნული პარტია იცავს მტკიცედ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, როგორც ქალაქად, ისე სოფლად.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მიწის საკითხი გადაწყდეს სახელმწიფოთ, და არა ყაჩაღური წესით.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მამულის ჩამორთმევა მოხდეს მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როცა ეს საჭიროა სახელმწიფო მოსაზრებით (ქართველ გლეხობის დასახლებისათვის).

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ კერძო მიწის მფლობელობისა გადიდებულ იქმნას ყოველგან ადგილობრივი პირობების მიხედვით.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ჩამორთმეულ მიწაში მამულის პატრონს მიეცეს მისი ფასი.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ ნებადართული იქმნას მიწების კერძოდ ყიდვა-გაყიდვა (ქართველებისათვის).

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ უცხოელებს (ოსებს, სომხებს, რუსებს) აეკრძალოთ მიწის შეძენა საქართველოში სანამ არ დაკმაყოფილდება ქართველი გლეხობის საჭიროება (თავდაპირველად მიწა უნდა მიეცეს ჯარში ნამსახურ ქართველებს).

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ მოსპობილ იქნას მონოპოლისტებისა და სპეკულიანტების პრივილეგიები და ქართველ ვაჭარ-მრეწველს საშუალება მიეცეს წესიერად აწარმოვოს თავისი საქმე.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაუყონებლივ მოხდეს სრული ნაციონალიზაცია ყველა დაწესებულებათა (თავდაპირველად ტფილისის ქალაქის თვითმართველობისა) და თანამდებობანი, რომელიც უცხოელებს აქვთ დაკავებული, გადაეცეს ქართველ მოხელეებს.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ საქართველოს დასაცავად მოეწყოს ერთი, მთლიანი სამხედრო ძალა — მუდმივე რეგულიარული ჯარი; ყოველივე სხვა გვარი პარტიული რაზმები და გვარდია უნდა გაუქმდეს.

ეროვნული პარტია მოითხოვს, რომ დაცული იქნას ეკლესიისა და სამღვდელოების ქონებრივი დოვლათი და მთავრობა მეტის პატივის ცემით მოეპყრა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მოთხოვნილებებს.

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც ერთ სოციალისტურ პარტიას: სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), ფედერალისტები, რევოლიუციონერები ყველა ბოლშევიკური ჯურის ხალხია და სულ სხვისი საკუთრების წართმევაზე ფიქრობენ; ჯერ სოფელს მოერევიან, მერმე ქალაქის მესაკუთრეს მისდგებიან.

მამულიშვილნო! არ შეცდეთ! არ მისცეთ ხმა არც № 2-ს ,,ეროვნულ-დემოკრატებს'' (გაზეთ ,,საქართველოს''), არც რადიკალ-დემოკრატებს და არც უპარტიო დამოუკიდებლებს, ესენი ყველა მენშევიკების მო[illegible] პარტიებია, ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატიული პროგრამა მათ არა სწამთ და ამიტომაც ხელი მოაწერეს ნ. ხომერიკის მიწის კანონებს.

მამულიშვილნო. მხოლოდ ,,საქართველოს ეროვნული პარტია'' იცავს მტკიცედ, ისე როგორც ,,კლდე'' სახელმწიფოებრივ პროგრამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს თფილისის საქალაქო არჩევნებია

## მიეცით ხმა ეროვნულ პარტიის სიას № 8

### ხმის მიცემის წესი

### საქალაქო არჩევნებისათვის

არჩევნების ბარათები ვისაც არ მოსვლია, დღეს თვითონ უნდა მივიდეს საარჩევნო ბიუროებში (მათი სია ცალკეა გამოცხადებული ჩვენი გაზეთის ბოლოში) მოანახოს თავისი გვარი საარჩევნო სიაში და მიიღოს ბარათიცა და კონვერტიც.

კონვერტში ჩადეთ ეროვნული პარტიის ბიულეტენი № 8.

ვისაც ბიულეტენი არა აქვს, ან და რაიმე ცნობისა და განმარტების მიღება დასჭირდება, მიმართოს ეროვნულ პარტიის საარჩ. ბიუროებში:

1) გაზეთ „კლდის“ რედაქცია (ქართულ კლუბთან)
2) საჩაე. „ორიონთან“ (ვერაზე, ბელინსკის და ცხნეთის ქ. კუთხეში)
3) ქართულ საჩაეში (სახაზინო თეატრის პირდაპირ).

#### თფილისის ქალაქის საბჭოს არჩევნებში

1) ვეშაპელი (ვეშაპიძე) გრიგოლ გიორგის ძე; პარლამენტის წევრი: გაზეთ „კლდის“ რედაქტორი.

2) ვაჩნაძე დავით ვლადიმერის ძე; პარლამენტის წევრი; სამხედრო კომისიის წევრი.

3) ქარუმიძე შალვა ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; განათლების კომისიის წევრი.

4) გაბაშვილი რევაზ (ლეონიდე) ალექსანდრეს ძე; პარლამენტის წევრი; გზათა კომისიის წევრი.

5) მაჩაბელი მიხეილ ვახტანგის ძე; პარლამენტის წევრი; აგრარულ კომისიის წევრი.

6) ჯავახიშვილი დიმიტრი ვასილის ძე; პარლამენტის კოფ. წევრი; ექიმი.

7) ხარაჯიშვილი ალექსანდრე თედორეს ძე; მრეწველი.

8) გაბაშვილი ნიკოლოზ სოლომონის ძე; ინჟინერ-ქიმიკოსი; კომერსანტი.

9) ციციშვილი ივანე გიორგის ძე; „მიწის მესაკუთრეთა კავშირის“ გამგეობის წევრი.

10) იმხნელი მიხეილ ნიკოლოზის ძე; ექიმი.

11) მამრაძე გიორგი გრიგოლის ძე; ლიტერატორი.

12) მგალობლიშვილი ივანე პაატას ძე; ბანკის დამფასებელი.

13) ერისთავი რევაზ იასონის ძე; მეურნე.

14) მაჩაბელი სოლომონ ვახტანგის ძე; მეურნე.

15) ჩოლოყაშვილი სოლომონ მიხეილის ძე; აგრონომი.

16) ცაგარელი ივანე ანტონის ძე; სახლის პატრონი.

17) კალატოზიშვილი კოტე ვასილის ძე; მეურნე.

18) ციციშვილი ალექსანდრე დავითის ძე; მეურნე.

19) ყავრიშვილი ნიკოლოზ იოსების ძე; აგრონომი.

20) იმნაიშვილი გერასიმე; პედაგოგი.

21) ნიჟარაძე რაფაელ; პედაგოგი.

22) კიკაბიძე ლადო სპირიდონის ძე;

23) სონღულაშვილი იროდიონ თომას ძე; მწერალი.

### ზესტაფონის ქალაქის საბჭოს არჩევნებში

„საქართველოს ეროვნულ პარტიის“ სია № 4

1. კელენჯერიძე ბესარიონ ანტონის ძე; პედაგოგი.
2. ლამბაშიძე დარისპან ზაალის ძე; კომერსანტი-მეურნე.
3. იმხნელი (კელენჯერიძისა) ნინო ბესარიონის ასული; ზესტაფონის ქალვაჟთა გიმნაზიების მასწავლებელი.
4. დეკანოსიძე ნიკოლოზ ფარსადანის ძე; მეურნე.
5. ლამბაშიძე დავით; კომერსანტ-მეურნე.
6. ბანძელაძე პეტრე ისიდორეს ძე; ბუღალტერი.

„კლდის“ ფონდისათვის.

**კვირას, 2 თებერვალს**

საჩაე „ძმურ ნუგეშში“ გაიმართება

**კონცერტი-კაბარე.**

მონაწილეობას მიიღებენ: ნინო ფავლენიშვილისა მაღალაშვილი, ძმანი დ. ბ. მაღალაშვილები, ბ. ბ-ნი ლეჟავა, ბ-ნი ჟუმბურიძე და სხვ. ლექსებს და სცენებს წაიკითხავენ ჩვენი ახალგაზრდა მგოსნები და არტისტები. დაუკრავს ტრიო ბ-ნ ბეჟიშის ხელმძღვანელობით. დილიდან ქართული სადილი და ვახშამი ღვინით. საჩაე ღია იქნება ღამის სამ საათამდე.

ჩვენი ბიულეტენი ასეთია:

**ხმას ვაძლევ**

„საქართველოს ეროვნულ პარტიის“

სიას **№ 8**

**თფილისი, (თებერვლის 2)**

**8 თუ 2.** № 8 იცავს მთლიან, დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს ძველ ისტორიულ საზღვრებში.

№ 2 გზა აზნეული ხან პროვინციებად დანაწილებულ საქართველოს ქადაგებს (ერ.-დემოკრ. წინადადება პარლამენტში არჩევნებისათვის საქართველოს ძველ პროვინციებად დაყოფისა) ხან „ისტორიულ“ საქართველოს. (როგორც მაგალითად გ. გვაზავამ მთავრობის კრება ზეხელი მოაწერა სომხებთან სამარცხვინო ზავზე და ამით გადასცა მათ ლორი და ბამბაკი).

№ 8 მტკიცედ, გაბედულად და საქვეყნოდ იცავს კერძო საკუთრების ხელუხლებლობას.

ქართველ გლეხობის მიწის დაკმაყოფილებისთვის მიმართავს სახელმწიფოებრივ, გონიერ და სამართლიან წესს: მემამულეებისაგან გამოსყიდვის, ქართველებზე გაყიდვის და მყიდველებზე საშვილიშვილოდ საკუთრებად დამტკიცების.

№ 2 მიემხრო მენშევიკ სოციალ-დემოკრატ-ბოლშევიკურ აგრარულ ყაჩაღობას და ამით უღალატა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ტრადიციებს, უღალატა კერძო საკუთრების იდეას და უპრინციპო და ქვეყნისათვის მავნე ჯგუფად გადაიქცა.

№ 8 გაბედულად ებრძვის ალვირწახსნილ მონოპოლისტთა და სპეკულიანტთა თარეშს, რომელმაც ჩვენი ფულის ღირებულება მანეთიდან შაურამდის ჩამოიყვანა.

№ 2 ამ მონოპოლისტ-სპეკულიანტებით საზრდოობს, სუქდება და სუნთქავს. მისი წარჩინებული წარმომადგენლის ფინანსების მინისტრის გიორგი ჟურულის კაბინეტში მზადდება ისეთი კანონ-პროექტები, რომლებიც ქართულ სოფელს და ქართველ გლეხკაცს სრულ გაჟყავებას და გაკოტრებას უმზადებს.

№ 8 როგორც ნამდვილი და სადი ეროვნულ სახელმწიფოებრივ იდეის მატარებელი იცავს თანასწორ უფლებიან ჯარისკაცებისაგან შემდგარს ერთს მთლიან მუდმივ ჯარის ორგანიზაციას და ებრძვის ყველა ჯურის პრივილეგიურ პარტიულ რაზმების და გვარდიის გამწესებას.

რადგანაც ამ უკანასკნელთა არსებობა რყვნის და შლის ნამდვილ ჯარის დაწესებულებას.

№ 2 ლაჩრულად ქადაგებს სოციალისტურ გვარდიას, შ. ამირეჯიბის ფელეტონებს უძლვნის მას და მარტო სხვათაშორის იხსენიებს იმ ჯარს. რომელიც არის და იქნება ერთად ერთი მუდმივი დარაჯი ქვეყნისა!

ასე და ამ რიგად № 8 მიდის თავის ძველი ტრადიციულის სახელმწიფოებრივ და ეროვნულის გზით მტკიცედ იბრძვის ქართველ ხალხის თავისუფლებისათვის, მისი ნამდვილად და საშვილიშვილოდ ეკონომიურ გაღონიერებისათვის სოფლად და ქალაქად № 2 კი ფლიდობს, ორპირობს და კვირაში ორჯერ ღალატობს ყველა ჩვენი საარსებო საკითხებში, რათა სოციალისტებისაგან გადმოგდებული და გამოხრული ძვალით დღეს მაინც ისარგებლოს და სპეკულიანტებს და ჩარჩებს ჯიბეები გაუსქელოს.

თქვენ რასაკვირველია არ მისცემთ ამ ლაჩარ და მოღალატე ხალხს თქვენ ხმას.

თქვენ მისცემთ № 8, საქართველოსათვის ნამდვილ მებრძოლ ეროვნულ პარტიას.

**გაუმარჯოს „საქართველოს ეროვნულ პარტიას“**

**გაუმარჯოს № 8.**

### დედა ქალაქისათვის!

დღეს ისტორიული დღე არის მთელი ქართველი ერის ცხოვრებაში.

დღეს ქართველმა ერმა უნდა აიღოს უმთავრესი და უკანასკნელი სიმაგრე და დ ე დ ა ქ ა ლ ა ქ ი უ ნ დ ა ი ხ ს ნ ა ს ტ ყ ვ ე ო ბ ი დ ა ნ.

თფილისის ქართველნო მოქალაქენო, თქვენ გხვდათ წილად ეს ბედნიერი მოვალეობა „ივერიის დედოფლის“ განთავისუფლება!

დღეს თქვენ ბრძოლას შეჰყურებს გულის ძგერით მთელი ცოცხალი საქართველო, ელიან ამას ლანდი წარსულისა და საუკუნენი ისტორიისა და იმედობს ამაზედ იმედი მომავლისა. შეგნებულად მივიდეთ საარჩევნო ყუთებთან.

გამარჯვებით დავაგვირგვინოთ ისტორიისაგან ნახვედრი დანიშნულება!

ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი მამულიშვილური მოვალეობა!

მივცეთ მოსვენება წარსულს და საფლავში შთენილთ და გაუკაფოთ საქართველოს გზა მომავლისა. ძველად იტყოდენ: „სულმან ბოროტმან დაიბუდა და ენამ უცხომან მოქარგა ქალაქი ჩვენის“ ძველები ამას კიდევ უმატებდენ: „რა წაირყვნა ქალაქი“ წაირყვნა სოფელი და წაილახა ქვეყანა ჩვენიო!

ქალაქს ტყვეობაში მყოფთ გამოაცხადებდენ და „ეტრფოდენ და იბრძოდენ მისთვის“.

მის განთავისუფლების ბავშვს დაანათლიდენ, ბერად, შეუყენებდენ და მიცვალებულს საფლავს ჩასძახებდენ საოქრო საქართველოს სულთა მოსაფენათ.

და არა ისვენებდა უდედოთ, უთფილისოთ, არც მკვდარი, არც ცოცხალი საქართველო. დღესაც უტეხია ეს ისტორიული ანდერძი. ამას გვეუბნევა სული და ხატი დედა ქალაქისა, საფლავნი, რომელზედაც დღეს ქუჩებს გაღუღლიათ და სრა

სასახლენი ამართულან, გვეუბნება ამას მახინჯი, შემზარავი ქორფლი ჩვენს დედოფალს რომ გადაჰკვრია სახეზედ.

გვეუბნება დღევანდელი ჩვენი ვითარება: თავისუფალს საქართველოს დედის გულიდამ შხამი და საწამლავი ევლინება.

წინეთ თავისუფლების მოყვარე, ამაყ ,,ქვთსუთთა, ვაჭართა და ხელოსანთა'' საკრებულო ქალაქის თვითმართველობა დღეს კიდევ ბოროტთა და მტერთა ხელშია. გველის სისინი ისმის იქიდამ და სწამლავს მთელს საქართველოს- დედის გულიდამ იხსნება მთელი სხეული.

ვაკმაროთ ამდენი ტანჯვა.

ქართველმა მოძღვარმა განწმიდა სიონის ჯვარი და სამლოცველო, ქართველმა მხედარმა დაიბრუნა არსენალი-ძველი ,,ციხექალაქი'', ძველი ნარიყალი, ,,ძალამ ხემწიფოობისამ'' კვლავ აამოქმედა ,,დარბაზი დიდებულთა''.

ქართველო მოქალაქევ, მხოლოდ ,,დარბაზი ქვთუთთა და ხელოსანთა'' არარის ჯერ კიდევ განწმედილი.

ეს არის ანდერძი და საქმე ერისა.

შარშან ჯერ კიდევ ნახევრად თავისუფალნი, მოქალაქენო, თქვენ მიდიოდით პირველ იერიშზე დედაქალაქის ასაღებათ.

აღებულ პოზიციებზე თქვენ მაშინ თქვენი რჩეულნი დააყენეთ.

ერთი წლის შესვენების დროს თქვენ ბოზოქრობით ყურს უგდებდით ვინ იყო წმიდა ანდერძის დამცველი და იცით კიდეც მისი სახელი.

მათ თქვენ მაშინ ხმას აძლევდით მთლიან ეროვნულ დემოკრატიას და სოციალისტებს. მეორენი უნდა წაიშალონ, ვინაიდან არის გზა დღეს არა სოციალისტური, არამედ მისი მოწინააღმდეგე ეროვნული და საქმე შესაძლებელი არის ეროვნული. შარშან ეროვნულ-დემოკრატიას თქვენ ოთხი ადგილი მიანიჭეთ, მაგრამ დღეს ერთხელ კიდევ გადაავლეთ თვალი მათ საქმიანობას. სამი არ სჩანდა, გაურბოდა ნაყისრ მოვალეობას და იბრძოდა ერთი, ის რაც ესმოდა და ყურით ევლინებოდა მტერს და გამხნევებდა შენ, ქართველო მოქალაქენო.

და შენც, ამომრჩეველო, ნუ იქნები უმადური და მიეც ხმა იმას, ვინც უფრო მაღლა ასწია დროშა ეროვნული მთლიანობისა, ეროვნული თავისუფლებისა!

მიეცი ხმა მერვე სიას.

---

## მიწის საკითხი.
### შ. ქარუმიძის სიტყვა პარლამენტში.*)

მიწის გაყიდვითაც თქვენ ბლომათ ფულს იშოვით, მაგრამ რამდენათ ააყვავებს ეს ჩვენ მეურნეობას, ან მისცემს ამ მეურნეობას ისეთს სახელს, რომ იგი მუდმივ შემოსავლის უშრეტი წყარო იყოს—ამაზედ თქვენ ნაკლებათა ფიქრობთ ისე, როგორც ნაკლებათა ფიქრობდით თურმანაულის ცხვარზე და თქვენ საქართველოს მინისტრი არხეინათ ეუბნებოდით, რომ თქვენთვის სულ ერთია—ქართველის ცხვარი იქნება შირაქში თუ თათრის.

იქნებ თქვენთვის სულერთია, ბ-ნო მინისტრო, მაგრამ ქართველი მეურნეობისათვის და საქართველოს ხაზინისათვის სულ ერთი არ გახლავთ.

მიწა გაყიდეთ, მაგრამ ისე, რომ არ დაანგრიოთ მეურნეობა.

თუ ფული ბევრი გნებავთ ამ მიწებში —მიჰყევით ბ-ნ გვაზავას რჩევას, რომელიც საფსებით ეთანხმება თქვენს კანონპროექტს, დააკმაყოფილეთ მისი ,,ულევი'' დემოკრატიზმიც და მიეცით საშუალება ქალაქელებმაც იყიდონ მიწები ჩამორთმეული ფონდიდამ. გარწმუნებთ ბ-ნ გვაზავას კლიენტელა, ვინც უნდა იყოს იგი, ამიერკავკასიის ბანკიდამ იქნებიან იგინი და მზარეულნი სამზარეულოდან, რომელისთვისაც ასე იტკივებს გულს გვაზავა ზავა აუარებელს ფულს დაგაყრიან, განსაკუთრებით თუ ეს მოხდა ჩვენი სახელმწიფო ვალის გადახდისა და ბონების შეცვლის დროს.

ეს ხოლო ყველაზე ადრე შეიტყობს ამ ბონების შეცვლის საჭიროებას და სიამოვნებით შესცვლის ნამდვილი ღირებულების ერთათ ერთ მქონე მიწაზედ. ჭეშმარიტი, ბონების მთებს აგიშენებენ! თქვენც აღარ დაგჭირდებათ არც მისვლა გლეხებთან, არც აყალმაყალი მათთან.

ამ გზით ფულს უფრო ადვილათ იშოვით, მაგრამ ცხადია და ანგრევთ ჩვენ მეურნეობას, საფლავს ჩაასვენებთ ჩვენ სახელმწიფოს.

აი ბატონებო, ეკონომიური თვალსაზრისით, ჩვენი მეურნეობის ინტერესების მიხედვით — ყოვლად შეუწყნარებელია დღევანდელი კანონპროექტი. ანაზღეულია ნორმის რაოდენობა და არ შეეფერება ჩვენი ქვეყნის მეურნეობის სხვადასხვაობას. მან მოსპო მთლად განათლებული ინტესიური მეურნეობა, მან ჩაახრჩო პროგრესიული მიმდინარეობა ჩვენ ეკონომიურ ცხოვრებაში, იგი აწესებს ახალს უდიერს ღალას.

ასეთი აგრარული კანონპროექტი უაზრო და მოკლებულია ჩვენი ცხოვრებისათვით. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ მისი. თუ სეიმმა შეიმუშავა ყალბი დეკრეტი და ამას თქვენცა გრძნობთ, მაშინ შეასწორეთ ეს შეცდომა ჩვენი ცხოვრების მართლა შესაფერი კანონმდებლობა მიიღეთ.

*) დასასრული.

---

## საქართველოს ამბები.

**ინგლისელი გენერალი რკინის გზათა უფროსთან.**

ინგლისის ჯარების სარდლობის წარმომადგენელმა გენერალმა ბარნმა ინახულა სახაზინო რკინის გზათა უფროსი, მის წინაშე ბოდიში მოიხადა იმ ინციდენტების გამო, რომელიც რკინის გზის მოსამსახურეთა და ინგლისელ ოფიცერთა შორის მოხდა და დაარწმუნა, რომ მომავალში ამაგვარი შემთხვევები აღარ მოხდება.

**ბოლშევიკების დაპატიმრება**

ამ დღეებში თბილისში დააპატიმრეს ბოლშევიკები მინასი და მჟავანაძე.

**„არაქსის რესპუბლიკა“**

თბილისში ჩამოვიდა ბაგრამ-ხან-ნაჩევანელი, წარმომადგენელი არაქსის რესპუბლიკისა, რომელიც სხვათა შორის ნახიჩევანის და შარურის მაზრებისგან შესდგება. ბაგრამ-ხანს მოლაპარაკება აქვს გამართული ინგლისელებთან არაქსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესახებ. ,,რესპუბლიკის'' ტერიტორია ამ ჟამად ინგლისელებს უჭირავთ.

---

## არჩევნების გარშემო.

**პარტიათა წარმომადგენელნი ცენტრალურ კომისიაში.**

თანახმად საარჩევნო დებულებისა პარტიები და ჯგუფები, რომელნიც არჩევნებში ცალკე სიით გამოდიან თავისი წარმომადგენლები უნდა გაგზავნონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. სოც.-ფედერალისტთა პარტიამ თავის წარმომადგენლათ მ. საყვარელიძე დანიშნა, რადიკალ-დემოკრატებმა—ს. კაპანაძე და უპარტიოებმა—ზედგინიძე. სხვა პარტიებს წარმომადგენლები ჯერ არ დაუნიშნავთ.

**საარჩევნო ქაღალდები პროვინციისათვის.**

ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ალ. ლომთათიძემ დეპეშით წინადადება მისცა ყველა საქალაქო და სამაზრო საარჩევნო კომისიებს თებერვლის 5-მდე თავისი წარმომადგენლები გამოგზავნონ ბიულეტენების, კონვერტების, საპირადო ბარათების და სხვა საარჩევნო მასალების წასაღებათ.

**ომარ-ფაიკის კანდიდატურის მოხსნა.**

დამფუძნებელ კრების საარჩევნო ცენტრალურმა კომისიამ მაჰმადიანთა ეროვნულ საბჭოს სიიდან № 6 გამორიცხა ომარ-ფაიკას კანდიდატურა, რომელსაც საერთოდ მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება და ახალციხის აჯანყების მოწყობა ბრალდება. მაჰმადიანთა ეროვნულმა საბჭომ ამის გამო პროტესტი განაცხადა.

---

## ბრძოლა სამაჰმადიანო საქართველოსათვის.

**მთავრობის რწმუნებულთა მოხსენებ.**

შინაგან საქმეთა და გარეშე საქმეთა მინისტრებმა რწმუნებულის რუხაძისაგან შემდეგი დეპეშა მიიღეს: აქ, ახალციხის მაზრაში, მდგომარეობა სერიოზულია. ჩვენ ხელთ გვაქვს უტყუარი დოკუმენტები, რომ ახალციხის მაზრაში აჯანყება მზადდება: დღეს ხელში ჩაგვივარდა ბათუმში არსებულ ახალციხის კომიტეტის გამოგზავნილი ომარ ფაიკ ეფენდის სახელობაზე მთელი გეგმა მათი მუშაობისა, აი ეს დოკუმენტიც: ,,სრულიად საიდუმლოდ. ძმაო ფაიკ-ეფენდი! გაცნობებთ, რომ ყარსში შესდგა დასავლეთ ამიერ კავკასიის მთავრობა, რომელიც უკვე შეუდგა საქმეს. ეროვნულ საბჭოს დეპუტატები არტაანიდან, ერევნიდან, ბათუმიდან და სხვა კუთხეებიდან ყარსში წავიდენ. მთავრობის ხელში საკმაო სამხედრო ძალაა, ყოველივე შინაური საქმეები ამ მთავრობის ხელშია. ყველა მუსულმანები შეერთდენ ღვთის ნებით. ჩვენი ხალხი და ჩვენი სამშობლო უნდა გადარჩეს და დასავლეთ ამიერ კავკასიაში ერთი დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა შეიქმნას. ეხლა ჩვენი თხოვნა ის არის, რომ მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება ქვემორე ჩამოთვლილ წინადადებებს: ა) საქართველოს დამფუძნებელ კრების არჩევნებში არავინ მონაწილეობა არ მიიღოს და არც ერთი ხმა არ მისცეს. არც ერთმა მუსულმანმა საქართველოს მთავრობას იარაღი არ ჩააბაროს. ყოველ შემთხვევისთვის ეს იარაღი მზადა ჰქონდეთ. ჩვენ თითონ დაგვჭირდება; ბ) ამ წერილის შესახებ საჩქაროდ შეიკრიბეთ და ილაპარაკეთ. საჩქაროდ ფოცხოვში გაგზავნეთ ერთი კაცი და გადაეცით ეს ამბავი; დ) თუ ვინმე მანდ ოსმალეთის ჯარისკაცები მოიპოვებიან მათ პატივი ეცით და ხელში იყოლიეთ. ინგლისელები ყარსის მუსულმანთა მთავრობას ხელს უწყობენ და მასთან კარგ განწყობილებაში არიან. ამხანაგებთან ერთად ფოცხოვში უნდა მიხვიდეთ და იქ ყარსის წარმომადგენლებიც იქნებიან. ასეთი წერილი თქვენს გარდა ეგზავნება მოლა სეიდს, მოლა ნურისს და შუაბანკუნმან ოღლებს. მოლაპარაკებაში მიიწვიეთ მოხელე შუხრი ეფენდი. ხელს აწერს: ახალციხის კომიტეტი, ბათუმი.

---

## ოსმალეთის აგენტების დეპეშა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშა მიიღო ბათუმიდან:

„1919 წლის 20 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის ჯარებმა, ისარგებლეს რა ოსმალთა წასვლით ყარსის ოლქიდან, უეცრად თავს დაესხნენ სამხრეთ-დასავლეთი კავკასიის დროებითი მთავრობის ადგილობრივ მილიციას და 8 საათის ბრძოლის შემდეგ დასტოვეს რა ბრძოლის ველზე 10 მოკლული ჯარის კაცი და 4 ტყვიისმფრქვეველი, გაიქცნენ. მოწინააღმდეგეთა დადევნებაში ჩვენმა ჯარებმა ხელათ დაიკავეს რამოდენიმე სოფელი. ვაცხადებ რა პროტესტს საქართველოს ჯარების თავდასხმის გამო სამხრეთ დასავლეთ კავკ. დრ. მთავ. სახელით, წინადადებას ვიძლევი შეტაკების გამოსაკვლევათ დაარსდეს შერეული კომისია ინგლისელთა აუცილებელი მონაწილეობით და გატყობინებთ თქვენ, როგორც თავმჯდომარეს საქართველოს მთავრობისა, რომ განმეორებული თავდასხმები საქართველოს მთავრობისა, რომ განმეორებული თავდასხმები საქართველოს ჯარებისა სამხრეთ დასავლეთ კავკასიის დროებითი მთავრობის მილიციაზე, გამოიწვევენ არა სასურველ შედეგებს.

წარმომადგენელი სამხრეთ დასავლეთის დროებითი მთავრობისა ყარსში, ბეგ ათაბეგოვ-კობლიანსკი“.

---

## ე. გეგეჭკორის ბაასი ინგლისის სარდალთან

30 იანვარს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა ინახულა მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი გენ. სერ ჯორჯ მილნი. გენერალმა მადლობა გადუხადა ბ. მინისტრს გულწრფელი მიღებისათვის და დიდის ყურადღებით შეხვდა მინისტრის მიერ აღძრულ საკითხებს.

მინისტრის საუბარი ეხებოდა განსაკუთრებით უკანასკნელად მომხდარ ამბებს საქართველოს რესპუბლიკის სამხრეთ საზღვრებზე და ბათუმის მხარეში,

აცნობა რა ახალციხის მაზრასა და არტაანის ოლქში მომხდარი ამბები, მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს ამბები გამოწვეულია ოსმალეთის აგენტების, ემისარების და ოსმალეთის კავკასიაში ყოფილ სარდლების მიერ, რომლებიც დიდი ხანია ეწევიან პროპაგანდას ადგილობრივ მცხოვრებლებში, ხოლო უკანასკნელ დროს შეაიარაღეს ბრბო და თავს დაესხნენ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრების დამცველ დარაჯებს.

ოსმალეთის აგენტების ეს მუშაობა არის ცდა იმ გეგმის გაგრძელებისა, რომელიც დაისახა ოსმალეთმა, როცა ომის დროს თავს დაესხა კავკასიას.

ოსმალეთის გეგმის თანახმად მისმა აგენტებმა დაისახეს მიზნად შექმნან ახალი სახელმწიფო, ყარსის, არტაანის და ბათუმის ოლქთა ტერიტორიაზე. ეს სახელმწიფო აღმოსავლეთით უნდა ეკვროდეს ადერბეიჯანს და დასავლეთით კი შავ ზღვას. ამ გეგმის მთავარი აღმსრულებელნი მოქმედებენ ,,სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის დროშის'' ქვეშ.

მინისტრმა ხაზი გაუსვა რა იმ გარემოებას, რომ საქართველოს მთავრობა მედგარი დამცველია ერთა თვითგამორკვევისა, რომ ამ შემთხვევაში ხსენებულ პრინციპის ნიღაბ ქვეშ ანხორციელებენ სრულებით სხვა მიზანს—ჩამოაცალონ საქართველოს მისი განუყოფელი და მასთან ორგანიულად დაკავშირებული ნაწილი, ურომლისოდ საქართველოს რესპუბლიკას ცხოვრება არ შეუძლია. ოსმალეთის აგენტებს კი ერთა თვითგამორკვევის პრინციპის ქვეშ, სურთ ჩაჰკეტონ საქართველო ისეთ საზღვრებში, რომელშიაც მას ვერ შეეძლება განვითარება და რკალივით შემოერტყმიან მას.

ამის შემდეგ მინისტრმა განაცხადა, რომ მას შეძლება აქვს უტყუარი დოკუმენტებით დაამტკიცოს, რომ ავტორნი და განმახორციელებელნი ამ საქციელისა და მთელი ამიერ კავკასიის მშვიდობიანობის მტრობისა და ავანტიურისტულ მოქმედებისა, არიან პირნი, რომელთაც არავითარი საერთო არა აქვთ ადგილობრივ ცხოვრებთა ინტერესებთან. ეს პირნი ხელმძღვანელობენ მხოლოდ პირადი მოსაზრებით და სურთ გააჩაღონ ანარქია და ჩაითრიონ ხალხი დამღუპველ ავანტიურაში.

მინისტრმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ამ ავანტიურის ქსელი იბმება ბათუმიდან, სადაც დაუბრკოლებლად მოღვაწეობენ ისეთი პირნი, როგორიც არიან ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი, ბეგთაბეგოვ კობლიანსკი, რომელთაც მთელი თავიანთი მოქმედებით წარსულში დაიმსახურეს ოსმალეთის აგენტების სახელი.

დასასრულ მინისტრმა აღნიშნა, რომ ოსმალეთის აგენტების ეს ავანტიურა, რომელიც ერთნაირად გმუქრება, როგორც

საქართველოს ინტერესებს, ისე მშვიდობიანობას და წესიერებას მთელს ამიერ-კავკასიაში — არ იქნება დროზედ მოსპობილი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იძულებული იქნება ერის ფიზიკურ ინტერესებისათვის, თვით მიიღოს კატეგორიული ზომები თავის დასაცავად.

გენერალმა სერ ჯორჯ მილნმა ამის საპასუხოთ განუცხადა, რომ ახალციხის და არტაანის საზღვრებზე მომხდარი ამბები მან უკვე იცის.

გენერალმა დაარწმუნა მინისტრი, რომ მას დაკისრებული აქვს მთელი პასუხისმგებლობა კავკასიაში მშვიდობიანობის და წესიერების მოკავშირეთა წინაშე და იგი არ დაუშვებს, რომ ეს წესიერება დარღვეულ იქნეს ლეჟვანდელ მდგომარეობაში, — როდესაც ხალხს ესოდენ სწყურია იგი.

გენერალმა მისცა დაპირება მინისტრს, რომ ლამზამვენი მდგომარეობის ასე გართულებისა არტაანის საზღვარზე მალე იქნებიან აღმოჩენილი და შესაფერისად დასჯილნი.

ამ მომხდარ ამბებს გენ. მილნი სცნობს ოსმალეთის მიერ აშკარად დარღვევას მოკავშირეთა და ოსმალეთს შორის დადებული დროებითი ზავის პირობებისა. ის რომ ოსმალეთის მთავრობა სინდისიერად არ ასრულებს საზავო პირობებს, უკვე ისეთ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ დაახლოვეს ხანში მიღებული იქნება უსასტიკესი ზომები ოსმალეთის ასალაგმავად.

დიდი ბრიტანეთის მთავრობა არავის არ მისცემს ნებას ჩაერიოს მისი განკარგულებებში და მით უმეტეს ვერ მოითმენს მოქმედებას მის მოწინააღმდეგეთაგან.

გენერალმა იცის, რომ ამჟამად მომხდარ ამბებთან, კავშირი აქვთ ოსმალეთის აგენტებს, როგორც იმათ, ხალილ ბეი, შევკეთ ფაშა და სხვანი.

დასასრულ გენ. განუცხადა ევ. გეგეჭკორს, რომ მან იცის მისი (ჩვენი საგარეო საქმეთა) წარსული მოღვაწეობა და მისი მეგობრობა დიდი ბრიტანეთისადმი. გენერალმა მილნმა იმედი გამოსთქვა, რომ საქართველოს მთავრობა შესძლებს გაუწიოს თავისი ხალხი ამ განსაცდელისაგან სამშვიდობოს.

გენ. მილნმა სინანული გამოსთქვა, რომ სამხედროებთ ჯერ არ აქვს კიდევ დარჩეს თფილისში, მაგრამ იმედი აქვს, რომ შემდეგში ამას იგი მოახერხებს.

# უცხოეთის ამბები

# ტელეგრამები.

## საქართველოს სააგენტოსი.

**შრომის კონფერენცია.**

ლონდონი შეიტყო ,,პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, რომ შრომის კონფერენცია, სადაც საპაერო კავშირის დელეგატებთან ერთად მონაწილეობდა ჯორჯ ბერნსი, დამთავრდა და შეიმუშავეს შრომის წესდების პროექტი, რომელსაც წარუდგენენ საერთაშორისო კომისიას ბერნში. სთქვა, რომ განზრახულია მოიწვიონ მოსამსახურეთა და მუშათა საერთაშორისო კონფერენცია.

**მეომარ სახელმწიფოთა დავალიანება**

ინგლისის გამოჩენილმა ფინანსისტმა სერ ედვარდ ვილდენმა მოხსენება წაიკითხა იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა ამ ომს ფინანსიური მხრით უმთავრეს მეომარ სახელმწიფოებში, ინგლისის ეროვნული ვალი 650,000,009 (გაუორკეცებულია) გაიზარდა. მომავალში ხელისუფლების ხარჯების დასაფარავად საჭირო გახდება, 900 მილიონზე მეტი. სერ ედვარდ გოლდენი გამოანგარიშებით შემოსავლის ყველა წყაროები რომ იქნას მხედველობაში მიღებული, ვალი 7,400 მილიონი მაინც დარჩება. გერმანია შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია: თუმცა ხარჯები დიდი არა აქვს მაგრამ მოსალოდნელი არ არის, რომ მოკავშირეებმა ვალი გაუდაუხადონ. გერმანიის ეროვნული ვალი, რომელიც ომამდე 240 მილიონი იყო, ყველა ხარჯების გასტუმრების შემდეგ 800,000,000 მდე ავა. რაც შეეხება ამერიკას, რომელიც შედარებით გვიან ჩაერია ომში და რომლის ხარჯიც ომის გამო 200,0 მილიონ აღწევს. მოკავშირეთა მიერ ამერიკაში აღებულ სესხების განაღდების შემდეგ, მისი ვალი 2,600 მილიონამდე ომამდე ამერიკის ვალი 204 მილიონს არ აღემატებოდა.

**მ ო ს კ ო ვ ი.**

რუსეთის კომუნისტური პარტიის ყველა კომიტეტებს და ორგანიზაციებს. ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა 10 მარტისთვის პარტიული ყრილობა მოიწვიოს.

**ფინლანდიელი თეთრგვარდიელნი ესტლანდიაში.**

რ ი გ ა, იან. 30, ჩამოვიდენ ფინლანდიელი თეთრგვარდიელები, რომელნიც ესტონურ ტანისამოს იცვამენ და ისე გადიან ბრძოლის ველზე, ფინლანდიელთა ერთი ნაწილი რეველის პოლიციაში მსახურობს, თეთრგვარდიელების მთავარი შტაბები ფელინსა და იურიევშია. ფელინში ბარონების რაზმი სდგება. თეთრგვარდიელთა ჯარების უფროსად გენ. ვესტრემი დაინიშნა.

**უმუშევრობა.**

ლ ო ნ დ ო ნ ი, პროფესიონალურ კავშირთა ყრილობის აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოარკვია, რომ უმუშევრობა საგრძნობლათ იზრდება უმუშევრობა გაძლიერდა გემებზე მოსამსახურეთა შორისაც, რადგან მოკავშირეებს მიყავთ გემები სტამბოლში და ქირაობენ მეზღვაურებს.

**რეინის ოლქის სეპარაცია.**

ბერლინი, იან, 26 3 დღის საპროტესტო გაფიცვა ბრაუნ შვეიგში დასრულდა. გაფიცულები მოითხოვდენ მთავრობის გადაყენებას, და მის მაგიერ ნამდვილ სოციალისტურ მთავრობის დანიშვნას. ბრაუნ შვეიგელებს მხარი დაუჭირეს ოლქების და ვესტალის დელეგატებმა და დაადგინეს ბერლინთან კავშირი გასწყვიტონ და რეინის ოლქსა, ვესტფალიასა და ბრემენთან ერთად დამოუკიდებელი რესპუბლიკა დაარსონ.

# საზავო კონფერენცია.

**გერმანია და საზავო კონფერენცია.**

გაზეთ ,,დეილი ნიუსი" პარიზელი კორესპონდენტი სწერს, რომ მას უტყუარი ცნობები აქვს თუ როგორ უყურებს გერმანია საზავო კონფერენციას. შეიდემანი იმ აზრისაა, რომ მოკავშირეების მიერ წამოყენებულ პირობათა ასრულება შეუძლებელია. გერმანია ხელს მოაწერს ზავს, მაგრამ იქვევე დაიწყებს პირობების ასრულების წინააღმდეგ გალაშქრებას. სხვა სახელმწიფოებთან შედარებით უფრო ადრე გერმანია აღადგენს წესიერებას. შეიდემანს იმედი აქვს, რომ პოლონელებთან და რუსებთან კეთილი განწყობილება დამყარდება.

# თფილისის ქალაქის საბჭოს არჩევნების ადგილები

1919 წ. 2 თებერვალს დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე [illegible]

1-ლ კომისარიატში

1 სარ. უბანი — ქართულ უნივერსიტეტის შენობაში.
2 „ „ საზურთალოს თეატრში.
3 „ „ ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებელში, ოლღის ქუჩა სახ. მაჩაბლისა, № 52.
4 „ „ პირველ მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.
5 „ „ სამიწათმზომელო სასწავლებელში, გუნიბის ქუჩაზე.
6 „ „ მეოთხე ქალთა გიმნაზია, ანასტასიის ქ.

2-ე კომისარიატში

7 „ „ მინიატურის თეატრში, ს. მელიქ-აზარიანცისა, ვერის დაღმ.
8 „ „ არტისტულ საზოგადოების დარბაზში, გოლოვინის პრ.
9 „ „ ღარიბთა თავშესაფარში, ზუბალაშვილის სახლი, სასამართ. ქ.
10 „ „ თფილისის საოლქო სასამართლოს შენობაში.

3-ე კომისარიატში

11 „ „ პირველ ქალთა გიმნაზიაში.
12 „ „ სამოქალაქო სასწავლებელში, ს. აფრიკიანისა.
13 „ „ სავაჭრო სასწავლებელში, სახლი მანთაშევისა.

4-ე კომისარიატში

14 „ „ სახელოსნო გამგეობაში.
15 „ „ მანთაშევის ქარვასლაში, სომხის ბაზარი № 62.
16 „ „ სომხების საქველმოქმედო საზოგადოების დარბაზში, ავჭალის მოედანზე.

5-ე კომისარიატში

17 „ „ მაჰმადიანთა აუდიტორიაში, ბოტანიკურ ქუჩაზედ.
18 „ „ პუშკინის საქალაქო სკოლაში, ვორონცოვის ქუჩაზედ.
19 „ „ ტოლლეს ქარხნის კონტორაში, ვორონცოვის ქუჩაზედ.

6-ე კომისარიატში

20 „ „ ნადეჟდინის თავშესაფარის შენობაში, რუსტერის ქუჩაზედ.
21 „ „ ქალაქის ახალ სასაკლაოს კანტორაში.
22 „ „ ძმათა ტ. აბრამოვების ნავთის ამხ. კანტორაში, კახეთის ქ.
23 „ „ სამინისტროს სკოლაში, კახეთის ქ. № 46.
24 „ „ მურაშკოს თეატრში, თელავის ქუჩაზედ.
25 „ „ ცარიელ დუქანში, კახეთის ქუჩაზედ, სადაც იმყოფებოდა მოსამსახურეთა ეკონომ. საზოგადოების განყოფილება.

7-ე კომისარიატში

26 „ „ არაქსიანის თეატრში.
27 „ „ ველაბრის გიმნაზიაში.
28 „ „ ცარიელ მაღაზიაში. კუთხე ლაზარევისა და ხიდის შეს. ს. მანუკოვისა № 57.
29 „ „ მარინეს საეკლესიო სკოლაში.
30 „ „ ველაბრის კლუბის ზამთრის შენობაში, კახეთის ქუჩა.

8-ე კომისარიატში

31 „ „ ალტმანის სახლში, კუთხე პროექტიროვანის და კახეთის ქქ.
32 „ „ მალაკნების საზოგადოების სკოლაში, დესიმონოვის მოედ.
33 „ „ მე-4 მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში.
34 „ „ პირველ კომერციულ სასწავლებელში, 10 თებერვლის ქ.

9-ე კომისარიატში.

35 „ „ პეტრე დიდის სახელობის სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა № 29.
36 „ „ მუშათა კლუბში, ერთობის უბანი.
37 „ „ მესამე მომრიგებელ სასამართლოს განყოფილ. ტურგენევის ქ.
38 „ „ კათოლიკურ საეკლესიო სკოლაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ.
39 „ „ სახელოსნო კლუბის შენობაში, მიხეილის პრ.

10-ე კომისარიატში

40 „ „ ავჭალის აუდიტორიაში.
41 „ „ ენფიენჯიანცის თამბაქოს ქარხნის კანტორაში, ვოგზლის ქ.
42 „ „ 2 ქართულ კლუბში (ყოფ. ხარფუხის კლუბი) მიხეილის პრ.
43 „ „ ზუბალაშვილის სახალხო სახლში. კიროჩნი ქუჩაზედ.

11-ე კომისარიატში

44 „ „ საკვირაო სკოლაში, კუთხე ჩერქეზიშვილისა და პავლოვსკ. ქ.
45 „ „ სამოქალაქო სკოლაში, ჩერქეზიშვილის ქუჩა, ს. ბოტტესი.
46 „ „ ნაძალადევის თეატრში, ჩერქეზიშვილის ქუჩაზედ.
47 „ „ სასურსათო დუქანში ს. მეტეხელის.

12-ე კომისარიატში

48 „ „ რკინის გზის სამოქ. სასწავლებელში, შერემეტევის ქ. [illegible]
49 „ „ რკინის გზის სამოქალაქო სასწავლებელში.
50 „ „ ყოფ. საჯიქოთო მიედნის კანტორა.
51 „ „ ავჭალის წყალ-ხადენი.

(3—1)


# მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ყოველ დღიურ გაზეთ ,,სალხი კლდე"-ზე.

**გაზეთის ფასი:**

ერთი თვით 10 მან. | სამი თვით 25 მან. | ექვსი თვით 50 მან. | ერთი წლით 100 მან.

ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი № 18—81.    კონტორა ქართულ ქარვასლაში, სასახლის ქ. № 5.


ქართველთა ამხანაგობის სტამბა, გოლოვინის პრ. № 26.   ტელეფონი 4—73.